ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო-

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სხდომის ოქმი N1

თარიღი: 4 ნოემბერი, 2022წელი

დრო: 17:00 საათი

ადგილი: მერიის სხდომათა დარბაზი;

კოსტავას ქ. N20

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - ნინო ლაცაბიძე

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები:

ნოდარ ღვამბერია, კარლო ლეკვეიშვილი, ავთანდილ კარანაძე, სერგო ტოპრაკაშვილი, ბელა ჯანგიძე-გოცირიძე, მერაბ გრძელიძე, მაია ჭიკაძე, დავით ძაგნიძე, გივი ჭიპაშვილი, იუზა ჩუბინიძე, ზურაბ მატკავა, კოტე შერმადინი, ლაურა მირაშვილი, ვალერი ჯიქია, ოთარ მენაბდე, ნათელა მუხულიშვილი, დავით ანთოშვილი, ელზა ლეკვეიშვილი, ნინო კიკილაშვილი, ფრიდონ კენკებაშვილი, ბელა ჯანგიძე, ვასილ ძირკველიშვილი, ნანა მოსიძე, თემურ დალაქიშვილი, ლიანა ჩარკვიანი, გიორგი ქოჩიაშვილი, მაია გოგოლაძე, ირაკლი ტაბაღუა, მერაბ ტყეშელაშვილი, სოფო ღიბრაძე, სოსო არეშიძე, გოჩა შავაძე, ჯონი შანიძე, ლეილა ციცქიშვილი, ზურაბ ტაბაღუა.

<u>ასევე ესწრებოდნენ:</u>

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მამუკა მამაიაშვილი

ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები

<u>სხდომის დღის წესრიგი:</u>

1. სხდომის გახსნა: თავმჯდომარის მიმართვა
2. მერიის ანგარიში 2022- პრეზენტაცია: ქალაქის მერი, ნინო ლაცაბიძე
3. „რუსთავის წყლის“ კომპანიის მიერ წარმოდგენილი გეგმის გაცნობა/განხილვა
4. 2023 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, მამუკა მამაიაშვილი
5. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემდგომი გეგმებისა და ტექნიკური საკითხების შეთანხმება

- სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ - ნოდარ ღვამბერიამ, რომელმაც მოადგილეებად დაასახელა საბჭოს ორი წევრი: ელზა ლეკვეიშვილი და თემურ დალაქიშვილი, ხოლო საბჭოს მდივნად - ლიანა ჩარკვიანი

- ქალაქის მერმა საბჭოს წარუდგინა საქმიანობის ანგარიში, სადაც განხილული იყო 2022 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების მიხედვით განხორციელებული პროექტები და რეფორმები: 2022 წლის ბიუჯეტმა ჯამში 104 195 000 ლარი შეადგინა:
    - განათლება- 18 373,4 ათასი ლარი
    - ინფრასტრუქტურის განვითარება - 45 756,2 ათასი ლარი
    - დასუფთავება და გარემოს დაცვა - 8 046,8 ათასი ლარი
    - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 11 919,3 ათასი ლარი
    - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 7 051,3 ათასი ლარი
    - მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 13 047,5 ათასი ლარი

- ნინო ლაცაბიძემ წარმოადგინა რუსთავის წყლის კომპანიის მიერ შემუშავებული გეგმა, რომლის ფარგლებშიც წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისთვის 30 მილიონი ლარი დაიხარჯება.

- საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მამუკა მამაიაშვილმა საბჭოს გააცნო 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, თანხების განაწილება მიმართულებების მიხედვით და ბიუჯეტის ზოგადი მაჩვენებლები:
    - განათლება- 16 121,5 ათასი ლარი
    - ინფრასტრუქტურის განვითარება- 27 260,0 ათასი ლარი
    - დასუფთავება და გარემოს დაცვა- 9 968,0 ათასი ლარი
    - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი- 8 926,3 ათასი ლარი
    - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 7 915,1 ათასი ლარი
    - მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები- 17 176,7 ათასი ლარი

- საბჭოს წევრები გადანაწილდნენ თემატურ სამუშაო ჯგუფებში, სურვილის, კომპეტენციებისა და გამოცდილების მიხედვით, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს სრულყოფილ და გამართულ მუშაობას.

  თემატური სამუშაო ჯგუფები:
  1. განათლება, მედიცინა, სოციალური
  2. სპორტი, კულტურა
  3. ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა
  4.ურბანული განვითარება, არქიტექტურა
  5. ეკონომიკა, ბიზნესი, ეკოლოგია

- სხდომა მიმდინარეობდა კითხვა- პასუხისა და მოსაზრებების გაცვლის რეჟიმში. საბჭოს წევრებმა გამოთქვეს აზრი კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით და დააყენეს ინიციატივები და წინადადებები:

გოჩა შავაძე: ისაუბრა რუსთავის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული მიწების დაკანონებასა და განაშენიანების გეგმის საკითხზე.

ნინო ლაცაბიძე: „ქალაქის საზღვრებში არსებული აუთვისებელი ტერიტორიების ურბანული განვითარების პროექტზე და ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის განახლებაზე მუშაობა ექსპერტების ჯგუფთან ერთად უკვე დაწყებულია."

ზურაბ მატკავა: ისაუბრა ქალაქში ავტოფარეხების პრობლემაზე, ასევე დააყენა ინიციტივა ე.წ „ ფოსტის შენობის" განვითარების საკითხზე.

ნოდარ ღვამბერია: ისაუბრა ქალაქში ტექნიკური წყლის პრობლემასა და მის აუცილებლობაზე ურბანული განვითარების საკითხში. ასევე გამოვიდა რუსთავ-თბილისს სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების ინიციატივით

ლიანა ჩარკვიანი: გამოვიდა ქალაქში კულტურული სფეროს განვითარების იდეით და მათ შორის, სკულპტურების საერთაშორისო სიმპოზიუმი/ფესტივალის აღდგენის ინიციტივით;

ფრიდონ კენკებაშვილი: ისაუბრა სკოლებისა და საგანმანათლებლო სფეროს განვითარების მნიშვნელობაზე და მომავალი თაობისთვის ქალაქში შესაძლებლობების გაჩენის აუცილებლობაზე.

თემურ დალაქიშვილი: გამოვიდა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ჯგუფის ჩამოყალიბების ინიციატივით, რომელიც კომუნიკაციას დაამყარებს მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტთან.

ოთარ მენაბდე: სურვილი გამოთქვა ლიფტების მოვლა-პატრონობის პროგრამის დეტალური განხილვისა და ისაუბრა აღნიშნული რეფორმის მეტად საჯაროობის აუცილებლობაზე.

- სხდომის დასასრულს საბჭომ შეაჯამა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და განიხილა შემდგომი გეგმები.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თითოეულმა წევრმა გამოთქვა მზაობა აქტიურად ჩაერთოს საბჭოს საქმიანობაში .

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე:

ნოდარ ღვამბერია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი:

ლიანა ჩარკვიანი

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

დასწრების ფურცელი 04. 11. 2022

	სახელი გვარი	ხელმოწერა
1	ნოდარ ღვამბერია	
2	კარლო ლეკვეიშვილი	
3	ნარგიზ ტაბატაძე	
4	ავთანდილ კარანაძე	
5	სერგო ტოპრაკაშვილი	
6	ელზა ლეკვეიშვილი	
7	ფრიდონ კენკებაშვილი	
8	მერაბ გრძელიძე	
9	ზელა ჯანგიძე	
10	დავით ძაგნიძე	
11	გივი ჭიპაშვილი	
12	მანანა კაპანაძე	
13	იუზა ჩუბინიძე	
14	ზურაბ მატკავა	
15	ნანა მოსიძე	
16	შალვა შალვაშვილი	
17	კოტე შერმადინი	
18	ლიანა ჩარკვიანი	
19	ვალერი ჯიქია	
20	ოთარ მენაბდე	
21	ლეილა აფციაური	
22	დავით ანთოშვილი	
23	ოლეგ რიჟამაძე	
24	თამარ ბუაძე	

25	გია ლეჟავა	
26	თემურ დალაქიშვილი	
27	ნინო კიკილაშვილი	
28	ნუკრი კოხრეიძე	
29	გიორგი ქოჩიაშვილი	
30	მაია გოგოლაძე	
31	ირაკლი ტაბაღუა	
32	დავით ჯიქია	
33	მაია ჭიკაძე	
34	იური ბედინეიშვილი	
35	მერაბ ტყეშელაშვილი	
36	ლაურა მირაშვილი	
37	სოსო არეშიძე	
38	თამაზ გველუკაშვილი	
39	ლეილა ციცქიშვილი	
40	გივი გოლოშვილი	
41	გოგი კახიანი	
42	ნინო გოგინაშვილი	
43	მერაბ ასანიშვილი	
44	ვასილ ძირკველიშვილი	
45	ნათელა მუხულიშვილი	
46	გოჩა შავაძე	
47	ჯონი შანიძე	
48	სოფო ღიბრაძე	
49	ზურაბ ტაბაღუა	
50	ვანო ლეჟავა	